წელიწადი მე-3

ტელეფონი № 76.

ოთხშაბათი 29 მარტი 1917 წ.

სამშობლო

გაზეთის ფასი:
წლიურად . . . 15 მან.
ნახევარი წლით . 8 მან.
თვიურათ . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.
წლიური ხელის მოწერილებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტ-სტრიქონის 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე . . 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა უმეტეს სამ ჯგამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 5 მ.
2 საათის შემდეგ . . 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. ქნ. ს. ნ. მიქელაძის სახლში.

№ 582 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 582

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ

პარტიის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს მტკიცედ შეჰკრან კავშირი პროვინციაში — როგორც ქალაქებში, ისე სოფლად.

მამულიშვილნო!

დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს. შემოიტანეთ თქვენი წვლილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის, შემოწირულება მიიღება ,,სამშობლოს'' რედაქციის კანტორაში.

ხუთშაბათს, 30 მარტს, საფირჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

ელისაბედ ყიფიანის ასულის

მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულდამწვარნი მისი მშობლები ანასტასია ლევანის ასული და სამსონ გიორგის ძე ყიფიანები.

1—1

ნიკიფორე ბესარიონის ძე ენუქიძე და ლეონტი ივანეს ძე პეტრიაშვილი ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ, რომ 6 აპრილს სოფ. წკადისში გარდახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის პირველის დაუვიწყარ შვილის და მეორის მეუღლის

ეფროსინა (დუსია) ენუქიძის ასულის

სულის მოსახსენებლად.

მწუხარებით გულმოკლული ქვრივი ელისაბედ გრიგოლის ასული სტეფანოვისა, ეკატერინე ივანეს ასული მღებროვისა შვილებით, არტემი ცოლით, მიხეილი და სერგეი გრიგორის ძენი და ასული, მარიამ გრიგორის ასული მეუღლით, ლეონ იაკობის ძე გაზიევი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ პირველი უძვირფასესი ქმრის, მეორენი საყვარელი სიძის და უკანასკნელი დაუვიწყარის ქვისლის ვექილის

ლევ ივანეს ძე სტეფანოვის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე შვიდს ნახევარ საათზე სალამოს. გამოსვენება (საკუთარ სახლიდან თბილისის ქუჩა) ოთხშაბათს 29 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე. და დაიკრძალება საფიჩხიის ეკლესიის გალავანში.

574—2—2

მწუხარებით გულმოკლული დედა ქვრივი მარიამ დიმიტრის ასული ცაბაძისა შვილებით (შუშანა და თამარა), ბებია ედუკი გვეშიძისა, აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ ნაცნობთ პირველის ერთად ერთი ვაჟიშვილის, მეორენი საყვარელი ძმის და უკანასკნელი ძვირფასი შვილიშვილის გიმნაზიის პირველი კლასის მოწაფის

ვიქტორ (ლადო) ივანეს ძის ცაბაძის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე სალამოს 6 საათზე გამოასვენებენ ოთხშაბათს 29 მარტს ნაშუადღევის 6 საათზე საკუთარი ბინიდან ძველი თბილისის ქუჩა ვლადიმერ ალავიძის სახლი). დაკრძალვა მოხდება საფირჩხიის სასაფლაოზე.

2—2

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ორშაბათიდან, 27 მარტიდან საუცხოვო პროგრამა, რომლის შემოსავლიდა ნაწილი ბრძოლის ველზე მყოფთათვის სააღდგომო საჩუქრების დასამზადებლად გადაიდება. ცდუნების ქალღმერთი მხატვრ. დრ. 5 ნაწ- გამოჩენილი მსახიობთა ფრანჩესკო ბერტონის მონაწ. პატეს სამხედრო ქრონიკა.

ელექტრო ამპირ თეატრი

ორშაბათიდან, 27 მარტიდან შესანიშნავი სურათი, რომლის შემოსავლიდან ნაწილი ბრძოლის ველზე მყოფთათვის სააღდგომო საჩუქრების დასამზადებლად გადაიდება. სახელგანთქმულობის მწვერვალზე. დრამა 6 ნაწ. მოზჟუხინის და ლისენკოს მონაწ. ტიკანების თეატრი კუნძულ სავაზე. სანახაობა.

ს. ბუგეულს რაჭის მაზრაში პირველ აპრილიდან

განახლდება

ძმ. წულუკიძეების გოგირდის აბანოს მუშაობა. აბანოსთან არის, ცხრა მოწყობილი ოთახი ავათმყოფებისათვის და სუფთა საბანაო თეთრი ქვის ვანები. იქვე იშოვება ყოველგვარი სანოვაგე მიმსვლელ ავათმყოფებისთვის.

დამფუძნებელი კრება თფილისში.

ქართველთა მიერ საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მოწვევის აზრი პირველად ჟენეველმა ქართველ ნაციონალისტებმა გამოთქვეს თავიანთ მიმართვაში ქართველ ერისადმი. იგივე მათ თავიანთ მიმართვაში ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოსადმიც. საგულისხმოა რომ ეგეთი თავისუფალი პოლიტიკური აღმაფრენა გაბედული რევოლიუციონური ნაბიჯის გადადგმის სურვილი და მოწოდება მოდის შვეიცარიაში მყოფ ქართველობიდგან. პოლიტიკური თავისუფლების ნამდვილი აკვანია შვეიცარია, ეს თავისუფლებისათვის სახელოვან თავდადებულთ ქვეყანაა. განშორებულნი „ჩვენი ქვეყნის ხელის შემშლელ და აზროვნების შემბოჭავ ანორმალურ გარემოებათ, მოკლებული. აქაურ სოციალდემოკრატთა უბადრუკ და აშკარა ქვეყნის საზიანო მოქმედების ზეგავლენას, გადაგვარების მაგურ შექმნილ დაბრკოლებათაგან თავისუფალი სული ჟენეველ ქართველობისა ადვილათ და სწორეთ იკვლევს გზას ჩვენი რევოლიუციის საბოლოო მიზნისაკენ: დამფუძნებელი კრება თფილისში, გამოცხადება საქართველოს თავისუფალ რესპუბლიკისა და რუსეთის პროტექტორატი 1783 წლის ხელშეკრულების ძალით. განა რუსეთის რევოლიუციას ჩვენში სხვა სახე უნდა მიეღო? განა რუსეთის რევოლიუციისათვის საქართველოში არსებობს კი რაიმე სხვა ბუნებრივი და არა ხელოვნური, ნაძალადევათ, გარუსებით შექმნილი ფორმა გამოსახვისა და განვითარებისა—გაშლისა.? რაში გამოიხატა რუსეთის რევოლიუცია ფინეთში თუ არა ფინეთის ავტონომიურ დამოუკიდებლობის მოპოებაში?! რა სახე მიიღო რუსეთის რევოლიუციამ პოლონეთისათვის თუ არა პოლონეთის სრული დამოუკიდებლობისა თავისუფალ კავშირით რუსეთთან?! როგორ ანვითარებს რევოლიუციას უკრაინა თუ არა თავისი ავტონომიის მყისვე განხორციელებით?! რა მთავარი მიმართულება, რა ხასიათი მიიღო რუსეთის რევოლიუციამ იმ თავიდანვე? რევოლიუცია შედეგი იყო ომისა, იგი მისი განვითარება და დაბოლავებაც იქნება. ომის დროს ისტორიული ცხოვრების მიერ ნაკარნახევი გადაჭრა მომწიფებულ ეროვნულ პრობლემისა: ერთა ავტონომია შეიქმნა რევოლიუციის ქვაკუთხედათ ახალი მთავრობა, პეტროგრადის მუშათა და სალდათთა საბჭო ერთხმათ სწყვეტენ ეროვნულ საკითხს პოლიტიკური ავტონომიის სასარგებლოთ. მთელი რუსეთის ყველა ერები ახორციელებენ ფაქტიურათ თავიანთ ავტონომიას: ფინელები, პოლონელები, ლატიშები ლიტოველები, უკრაინელები და სხვ. სომხები ემზადებიან ავტონომიის შემოსაღებათ.. ისე, რომ ჩვენ დაგვასწრონ, ჩვენი მიწაწყალი მიიზომონ და ჩვენ რიყეზე დაგვტოვონ. რა არის მიზეზი, გეკითხებით თქვენ ანტი-ეროვნულ მიმართულების, ქართველი ერისათვის ბოროტო ძალებო, რა არის მიზეზი რომ საქართველოს, ქართველობას ჩვენს საკუთარ ქალაქებში სიტყვაც კი ვერ დაგვიძრავს ავტონომიის შესახებ? რათი აიხსნება, გეკითხებით თქვენ, ნ. ჟორდანიავ—გეგეჭკორო და ხატისოვის ერთგულნო, რაით აიხსნება ქუთაისში რბევა ავტონომისტთა წინააღმდეგ? დიახ, თქვენ, სომხების გუშაგნო ჟორდანია—გეგეჭკორებო, თქვენ გეკითხებით მიზეზს, რასთვის ესევა თქვენი ლაშქარი ქართველთა ავტონომისტებს და კეთილისგანწყობილებით ეკიდება სომეხ შოვინისტ დაშნაკცაკანებს?. სომეხ შოვინისტთა სათილისმო იარაღით რუსეთისა და სხვა სახელმწიფო მოხელეთათვის ჩვენთვის ცნობილია—ეს მათი ოქრო იყო. ბოროტებით მათ მიერ შენაძენი და ბოროტათ გახმარული მხაკვრულ მიზნებისათვის. მაგრამ ჩვენ არ ვიცით რა თილისმას ხმარობენ სომხები კავკასიის სოციალდემოკრატიის მოსაჯადოვებლათ, უცნობს ჩვენთვის ახალსა თუ ძველს, ვიცით მხოლოთ, რომ საქართველოს რევოლიუციის გამარჯვებას, მიზნის მიღწევას ხელს უშლიან ერთგულნი მოკავშირენი სოციალდემოკრატია და სომხობა, ჟორდანია—ხატისოვები. ეჭვს გარეშეა, რომ ეროვნული მიმართულება ჩვენი საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზროვნებისა იმ თავიდანვე შეუდგებოდა დამფუძნებელი კრების მოწვევას, რომ ანტიეროვნულ მიმართულებას არ ევნო საქართველოს რევოლიუციის განვითარებისათვის. ეროვნულ მიმართულებათა მედგარმა მუშაობამ ადრე თუ გვიან უნდა სძლიოს ანტიეროვნული პარტიის წინააღმდეგობას და რევოლიუცია ბოლომდე უნდა მიიყვანოს, უნდა დაამთავროს თფილისში დამფუძნებელი კრების მოწვევით. მინამ სრულიად საქართველოს წარმომადგენელთა კრება არ შესდგება საქართველოს სახელმწიფოებრივი სხეულის განსამტკიცებლით და პოლიტიკური სახიერების ჩამოსასხამათ, მანამ ჩვენ რუსეთის რევოლიუციის არიერგარდში, მის კუდში ვიქნებით მოქცეული და მთელი რუსეთის ხალხთა წინაშე დიდი დანაშაული გვექნება ჩადენილი, დიდი ცოდვა გვექნება ჩადენილი თვით ჩვენი ხალხის წინაშე ეროვნულ რევოლიუციის შეფერხებისათვის. პეტროგრადსა და რუსეთში დაემხო ნიკოლოზ 2 რომანოვის თვითმპყრობელობა და იქ დამყარდა თავისუფალი სახელმწიფო.

საქართველოში უნდა მოისპოს სოციალდემოკრატიის ანტიეროვნული დიქტატურა და უნდა დამყარდეს თავისუფალი საქართველოს რესპუბლიკა რუსეთის პროტექტორატით 1783 წ. ტრაქტატის ძალით

Titus.

ქართული პრესა.

გაზ. „სახალ. ფურც." აღნიშნავს ორ ფაქტს დღევანდელი მომენტისას. 1) რომ დღევანდელმა რევოლიუციამ არა რუსები ერთხმად მიიმხრო და ყველა რუსეთში შემკული ერები აღიარებენ ახალი მთავრობის მხარის დაჭერას.

2) რომ ამისდამიუხედავათ ეს ერები მაინც განსაკუთრებულიც მოითხოვენ თვისი უფლებათა აღდგენა-მოპოებას და აცხადებენ თავიანთ თავს მთლიან ერთეულად პარტიისა და წოდების განურჩევლად.

სამწუხაროდ ჩვენში ამის მსგავსი არა არის რა. ჩვენში საჩოთიროდ და სამარცხვინოდ ის მიაჩნიათ, რომ ქართველმა ხალხმა თავისი ეროვნული სახე გამოაჩინოს, საერთო მოთხოვნილებასთან ერთად წამოაყენოს საკუთარი მოთხოვნილება; საერთო ფერხულში არ გაითქვლიფოს, არ გაჰქრეს და არ დაიმარხოს, როგორც ერთი. ჩვენში არიან ადამიანები, რომლებიც ჰქადაგებენ, ეროვნული თავისუფლება ხალხისთვის საზიანოა, რომ საქართველოს პოლიტიკური თვითმართველობა, ავტონომია ძველი წეს-წყობილების აღდგენაა და ეროვნული საჭიროების დაკმაყოფილების მოთხოვნა ნიშნავს კონტრ-რევოლიუციონურ გამოლაშქრებას!..

საშინელია ასეთი გაუგებრობა, ასეთი დაბრმავება და ბრძოლა ამის წინააღმდეგ! დაუღალავი მუშაობა ამ ბურუსის გასაფანტავად უდიდესი მოვალეობაა ყოველის ქართველისთვის, რომლისათვისაც მშობელი ერი, ხალხი, თავისუფლება მშრალი სიტყვები კი არაა, არამედ რეალური მოვლენაა, ხორც-შესხმული მცნება!

ამასვე გავიძახით და კვლავაც ვამბობთ, რომ ისეთი ძალთა დაქსაქსა და გათიშვა მხოლოდ საშინელ ვნებას თუ მოგვიტანს თვარა, სიკეთეს და აღორძინებას კი ვერასოდეს. დროა გონს მოვიდეს ყოველი ქართველი და ჩაუფიქრდეს თავის უმწეო მდგომარეობას, რომელსაც მხოლოდ ეროვნული თავისუფლება მოუტანს.

რუსული პრესა.

კადეტები.

„რუსკ. ვედ." ფურცლებზე აღ. კიზევეტერი სრულად არკვევს კადეტთა პარტიის რესპუბლიკურ პლატფორმაზე გადასვლის აზრს და სხვათა შორის სწერს:

„ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მონარქიული პარტიები ძლიერი იყო, რომლებიც მონარქიულ წესწყობილებას რუსეთის სახელმწიფოურ მმართველობის ემბლემად და ხალხის ნამდვილ მოთხოვნილებად სთვლიდა. მაშინ ხსენებულ პარტიების გვერდში მდგომი კადეტთა პარტია, ყოველთვის მონარქიულ წყობილებას გარდამავლად სთვლიდა და მოითხოვდა რესპუბლიკის დამყარებას. მემარჯვენე პარტიები კადეტებს ყოველთვის უკიჟინებდენ მონარქიის ორგულობას გაიხსენეთ 905—6 წ. ჩვენ სახელმწიფოს მმართველობის ფორმა არასოდეს მაგვაჩნდა მუდმივ არსებათ დროთა მსვლელობაში მმართველობის ფორმაც იცვლება და მის ადგილს ახალი იჭერს. რესპუბლიკა თუ კი სხვა ქვეყნებში შესაძლო გახდა და დამყარდა შესაძლო იქნება და დამყარდება აგრეთვე რუსეთშიც, თუ რასაკვირველია მას მთელი ხალხი მოითხოვს. ამ შემთხვევაში კადეტები უკიდურესობამდე იბრძოლებენ რესპუბლიკურ მართვა გამგეობის შემოსაღებადო".

⁂

„რეჩი და ინოროდცები".

რუსეთის თავისუფლებამ მედგრად გაშალა ფრთები. სახელმწიფოში მოისპო სამარცხვინო სიკვდილით დასჯის კანონი... დღეს უფრო საინტერესო ფაქტს გხედავთ. დროებითმა მთავრობამ და თავისუფალმა ხალხმა გადასწყვიტა ინოროდცების ბორკილებისგან განთავისუფლება... ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან რუსეთის თავისუფლება არის მის შემადგენელ ხალხთა საერთო თავისუფლება, რომლითაც ყველამ ფართოდ უნდა ისარგებლოს. იმედია ახალი მთავრობა საჩქაროდ გაატარებს ცხოვრებაში ამ მეტად სიმპატიურ პროექტს.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა, რომელიც მიიღო პარტიის მთავარ კომიტეტმა და ამერეთ-იმერეთის კომიტეტების წარმომა-

დგენელთა კრებამ, დღეს უკვე იბეჭდება. ახლო მომავალში ის საერთო პარტიულ ყრილობას მოხსენდება. დღეიდან დაკმაყოფილებულია ჩვენთა თანამოაზრეთა სურვილი, რომ მათ ხელთ ჰქონდათ ჩვენის მიმართულების გამომსახველი პროგრამა.

ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების შინაარსი უკვე საკმაოდ გამოარკვია ამ მიმართულების პრესამ და პრაქტიკულმა მოღვაწეობამ. პროგრამა მხოლოდ ალნუსხავს ყველა იმ ეროვნულსა, პოლიტიკურსა და ეკონომიურს მიზნებს, რომელნიც შეადგენენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მოღვაწეობის საგანს. ეს პარტია განყენებულ სურვილებს არ ემსახურება და განუხორციელებელ მიზნებს არ ისახავს ეროვნულ დემოკრატიული პროგრამის თითეული მუხლი ნაცადი და განხორციელებულია ამა თუ იმ დაწინაურებულ ერის ცხოვრებაში.

თავისუფლება ეროვნული, თავისუფლება მოქალაქობრივი და თავისუფალი შრომა ქონებრივის კეთილდღეობის შესაქმნელად,—აი ის უმთავრესი საფუძვლები, რომლის განმტკიცებას ემსახურება ეროვნულ დემოკრატიული მიმართულება.

პოლიტიკურ თავისუფლებას მოკლებული ერი ვერ განავითარებს თავის სულიერსა და ქონებრივ ძალებს და ვერ შექმნის ეროვნულ ძლიერებას და კეთილდღეობას. ქართველ ერის ყველა ძალები, უწინარეს ყოვლისა, ეროვნულ უფლებების აღდგენისაკენ უნდა იყოს მიმართული.

რუსეთმა დაამსხვრია მონობის ბორკილები და თავისუფალ რუსეთში საქართველოც თავისუფლად უნდა მოეწყოს.

ავტონომიურად თავისუფალი ქართველი ერი მხნედ და გაბედულად შეუდგება ეროვნულ ცხოვრების აღმშენებლობას და მისი წარსული და აწმყო, მისი კულტურა და სულიერი ძალები თავმდებია საქართველოს აყვავებისა.

სახელმწიფოებრიობით აღჭურვილი ერი პატრონობას გაუწევს ეროვნულ ცხოვრების ყოველს საგანს და მოთხოვნილებას.

ქართული სკოლა, ქართული სამართალი, ქალაქი თუ სოფელი, და მეურნეობა თუ მრეწველობა საქართველოს კანონმდებლობისა და მთავრობის მზრუნველობით აყვავდება, აღორძინდება და ყოველივე ეს წარმოშობს საქართველოს სულიერსა და ქონებრივ ძლიერებას და კეთილდღეობას.

(„საქ.“)

ექიმ ცეხანოვსკის გატაცების გამო.

27 მარტს ქალაქ ქუთაისიდან ბოროტ გამზრახველებმა გაიტაცეს ექიმი ცეხანოვსკი. ქალაქის მცხოვრებთათვის დღევანდელ მომენტში ეს ფაქტი თქმა არ უნდა დიდს აღშფოთებას და შიშს შექმნის. ნეტარ თავისუფლებაში შევდგით ფეხი და გვწადია ცხოვრების ახალ სახით მოწყობა, ვაუქმებთ, ვსპობთ ყოველგვარ ძალმომრეობას... მაგრამ უაღრესად სავალალო სწორედ ის არის, რომ დღესაც ჩვენს შორის დარჩენ ის ულირსი პირები, სამარცხვინოდ ადამიანის სახეებს რომ ატარებენ და ყოველგვარ კეთილ დასაწყისს სამარეს რომ უთხრიან. ეს თავზე ხელ აღებული ხალხი დროგამოშვებით განაგრძობს ნაჩვევ ექსკურსიებს. ყველას ახსოვს, თუ რა საშინელებას განიცდიდა მათ მიერ ძველ ადმინისტრაციის დროს ქუთაისის შეძლებული მცხოვრებნი. იმ ხანად ყოველივე ბოროტებას ძველ რეჟიმის ორგანოს ვახვევდით თავზე... დღეს, როდესაც ძველი მმართველობა აღარ არსებობს და ქალაქის ბედ-იღბალი ხალხის ხელში გადავიდა რათ უნდა ხდებოდეს ეს? სჩანს უვარგისი და უცოდინარი იყო აწ უკვე მოხსნილი ქუთ. სახალხო მილიცია, მაგრამ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ ქალაქის თავდაცვისთვის და მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის ვერ გამოდგებიან ისინი, რომელთაც ამჟამად მილიციის ადგილი დაიკავეს. ბიზეზს ჩვენ ბევრს მოვიყვანდით. უცხო ჩამოსული კაცი, რომელსაც ქალაქზე და მის მიდამოებზე გეოგრაფიული წარმოდგენაც არ აქვს, უეჭველია ვერ დაიცავს ქალაქს სათანადოთ. პირიქით ამნაირი დამცველები უფრო გაამწვავებენ საკითხს და ააფორიაქებენ ადგილობრივ ცხოვრებას. საჭიროა ამ საკითხზე საჩქარო თათბირი იქონიოს ქუთაისის ყველა მცხოვრებლებმა, თორემ ნაძირალები, როგორც სჩანს კიდევ ძლიერები ყოფილან, რომელნიც ეცდებიან ყოველგვარად ხელი შეუწყონ ჩვენს ცხოვრების არევ-დარევას...

ეს გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს ქუთაისის როგორც აღმასრულებელ კომიტეტს, ისე მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს და დაუყონებლივ ზომებიც იქნეს მიღებული, თვარა რა პასუხს მისცემთ მოქალაქეთ, როდესაც გვკითხავენ: ვისი ბრალიაო?

ჯიბ.

ახალი მთავრობა.

25 მარტიდან ოფიც.

„სტაროობრიადცები“

„სტაროობრიადცებმა თავიანთ ყრილობაზე დაადგინეს მოპოებულ თავისუფლების შესანარჩუნებლად ომი საბოლოო გამარჯვებამდის იქმნას განგრძობილი.

„სტაროობრიადცები“ ამასთანავე კატეგორიულად მოითხოვენ, რომ დამფუძნებელი კრება მოწვეულ იქმნას ქ. მოსკოვში.

ებრაელები.

ეროვნულ შეზღუდვის გაუქმების გამო ებრაელთა წარმომადგენლები ფრიდგამის მეთაურობით თ-დ ლვოვს მიესალმა. ლვოვმა წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა და აღუთქვა ყოველგვარი სამსახური. ამის შემდეგ ებრაელები იყვენ აღმასრულებელ კომიტეტში.

ვაჭრობა მრეწველობის სამინასტროში.

უმართებულესმა სენატმა ვაჭრობა მრეწველობის მინისტს ნება დართო გააფართოვოს მან სააქციონერო საზოგადოებათა ძირითადი თანხა.

პოლონეთის დამოუკიდებლობას საფრანგეთი სცნობს.

დროებითი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა მილიუკოვმა საფრანგეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრისგან დეპეში მიიღო, სადაც ნათქვამია, რომ საფრანგეთის მთავრობა სცნობს და სიხარულით ეგებება განახლებულ რუსეთის მიერ პოლონეთის დამოუკიდებლობის აღიარებას.

ინგლისი და რუსეთი.

რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ ფინლიანდიის კონსტიტუციის ახალ სახით გამოცხადებამ ინგლისში უსიმპატიობა მოიპოვა. თემთა პალატამ განაცხადონ, რომ ასეთი ნაბიჯი რევოლიუციურ მთავრობისა სრული დაგვიანებაა ფინლიანდიის ხალხის ზესურვილებისა რასაც თვით ფინლიანდიის მცხოვრებნიც კარგად გრძნობენო.

რომანოვთა სახელობის საზოგადოებები.

დროებითმა მთავრობამ მთავარ სამხედრო კომიტეტს გადასცა რომანოვთა სახელობის ყველა საზოგადოებები.

იაროსლავი.

დემიდოვის ლიცეის დირექტორად არჩეულ იქნა ყაზანელი პროფესორი შირიაევი.

კიევი. დნეპრი 1 საჟენ ნახევრით ადიდდა და ქალაქს ემუქრება.

საკვირაო დასვენება.

ოდესის სტამბებმა და მუშებმა დაადგინეს იუქმონ კვირა დღეები.

ჯარის კაცთა საბჭოში.

თბილისი. ჯარის კაცთა საბჭომ თავის კრებაზე დაადგინა, რომ ყოველგვარი განკარგულება ლაშქრის შესახებ უნდა გატარდეს ჯარის კაცთა რედაქციაში.

მაც განაცხადა, რომ ყოველგვარ რჩევისათვის იგი მიმართავს ჯარისკაცთა საბჭოს.

კერძო სასწავლებლები და ახალ განათლების მინისტრი.

ახალი სახალხო განათლების მინისტრი მანუილოვი სამოსწავლო ოლქის მზრუნველებს ატყობინებს, რომ მიმდინარე სამოსწავლო წელს კერძო სასწავლებლებში კლასიდან კლასში გადასასვლელი და სიმწიფის მოწმობის მისაღებად წარმოებული გამოცდა გაუქმებული იქნება. მოსწავლენი შემდეგ კლასებში გადავლენ სამოსწავლო წლის განმავლობაში მიღებულ ნიშნების მიხედვით. ასეთივე წესით მიეცემათ სიმწიფის მოწმობა-ატესტატებიც.

ნარკვევი.

გაზ. „უტრო როსიას“ პარალელი გაჰყავს აღმოსავლეთში ძველ მთავრობის ვერაგ პოლიტიკის შესახებ და სხვათა შორის სწერს: „ფანტასტიური პოლიტიკა სომხეთში, რომელიც პირდაპირ ემსახურებოდა ოსმალთა და გერმანელთა ინტერესებს და სომხეთს თანდათან აშორებდა რუსეთზე. სისხლის მღვრელი და ყოვლად უმგვანო ავანტურული მოქმედება ჩრდილო სპარსეთში, რომელმაც ჩვენს წინაალმდეგ ააჯანყა კეთილი მეზობლები და გერმანელებს და ოსმალებს სათარეშო გზა გაუხსნა და ბოლოს დამცირებული საქართველო, რომელსაც რაღაც მანქანებით და ფარული გულის თქმით წაართვეს ეკლესიის თავისუფლება.

აი ნიმუშები დესპოტიურ მთავრობის მოღვაწეობისა“.

ახალი ამბავი.

◆ **დაკარგული ბავშვი.** სერაპიონ ფილიპესძე სვანაძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მას დაეკარგა ათიწლის ვაჟიშვილი რომელსაც სახელად საშა ჰქვია 26 მარტს კვირას გასულა სახლიდან და მის შემდეგ აღარ სჩანს დღემდე ძებნამ ჯერჯერობით ამაოდ ჩაიარა. სთხოვს ყველას ვინც რამე გაიგოს მისი შვილის **საშა სერაპ. სვანაძის** შესახებ, აცნობონ მას პუშკინის ქუჩაზე სასტუმრო „ორიანტის“ ქვეშ.

◆ **მოსკოვი.** საჭიროდ ვრაცხ მოკლე ხანში მოწვეულ იქმნას ქართველ მეცნიერთა კრება ტერიტორიალურ ავტონომიის პრობლემების გამოსარკვევად და ახლავე მოსათხოვნად. აგრეთვე მოწყობილ იქმნას ქართველ მეცნიერთა კავშირი.

მოსკოვის უნივ. პრივატდოცენტი

ღამბარაშვილი

„სახ. ფურც“

„ჩემი შვილი ა[illegible] ხასია მსახურებდა [illegible] Кавказская дѣйствующая армія 153 пѣхотнаго Бакинскаго полка 9 роты 4 взводъ“, სამწუხაროდ იმისი ამბავი არაფერი არ მომდის დღეიდან მის წასვლისა, ამისათვის ვთხოვ ყველას თუ ვინმემ იცით იმისი ამბავი მაცნობეთ წერილით.

ჩემი მისამართი: Въ м. Зугдиды сел. Цаиши, Кут. губ. Елиса Хасія.

ქუთაისის მოსწავლეთა დეპეშა.

◆ ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობამ საჭიროთ სცნო წელს მოსწავლეთა ადრე დათხოვა. წარმომადგენლებმა აირჩიეს კომისია, რომელსაც დაავალეს ამ საკითხზე სათანადო შუამდგომლობის აღძვრა კომისიამ დეპეშით მიმართა კომისარ კიტა აბაშიძეს, რათა მას თბილისიდან ეშუამდგომლა ამ საქმეზე განათლების სამინისტროში. დეპეშის გაგზავნა თბილისს კიტა აბაშიძისთვის კომისიამ მიანდო მის თავმჯდომარეს ზ. ჩიხლაძეს, რომელმაც შემდეგი შინაარსის დეპეში გაუგზავნა კიტა აბაშიძეს!. „მოგესალმებით მთელი მოსწავლე ახალგაზრდობა ქალაქ ქუთაისისა, ყველა კერძო ქალთა და ვაჟთა სასწავლებელთა გამოუკლებლივ, მიმდინარე მომენტის სიდიადის და მრავალ გართულებულ ადგილობრივი ხასიათის პირობების გამო გთხოვთ გვიშუამდგომლოთ განათლების სამინისტროში დაგვითხოვონ ჩვენ 24 მარტს.“ ამის საპასუხოდ ქ. ქუთაისის მთელი მოსწავლე ახალგაზრდობის კომისიის თავმჯდომარე ზაალ რ. ჩიხლაძეს კიტა აბაშიძისაგან შემდეგი დეპეში მოუვიდა: „გულწრფელ მადლობას უძღვნი ჩვენს იმედსა და სიამაყეს ახალგაზრდობას მოსალმებისათვის. თქვენი თხოვნის დაკმაყოფილება ცოტა საძნელოა დაბეჯითებით გთხოვთ იქონიოთ მოთმინება. ვინაიდან მხოლოდ მედგარი და [illegible] ბრძოლით შეიძლება ჩვენ[illegible] [illegible] იდეალების განხორციელება.“

კიტა აბაშიძე.

შეცდომის გასწორება.

გუშინდელ ნომერში შემდეგი კორექტურული შეცდომა გაგვეპარა: „ოსმალეთის და რუსეთის განახლება“, უნდა იყოს ოსმალეთი და რუსეთის განახლება.

დასაგმობი მოვლენა.

ჩვენს რედაქციაში შემოვიდენ ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდები და თავის აღშფოთება გამოსთქვეს იმ სამარცხვინო მოვლენის შესახებ, რომელიც ერთმა მთვრალმა მოწაფემ ჩაიდინა.

მას რევოლვერი უსვრია, ამ სროლამ ერთი აურ-ზაური გამოიწვია. ზოგს ეგონა კაცი მოჰკლესო, ზოგს ჯარის-კაცების შეეშინდა. მაღაზიები დაჰკეტეს.

1783 წ. ტრაქტატი, ავტონომია და ფედერაცია.

რა დამოკიდებულებაა ხსენებულ ტრაქტატსა და ავტონომიას შორის? უარყოფს თუ არა პირველი მეორეს? წინააღმდეგობაა თუ არა ამ პოლიტიკურ ფორმათა შორის?

როგორც ვიცით, ხსენებული ტრაქტატის ძალით ქართლ-კახეთის მეფემ—ერეკლე მეორემ—საგარეო პოლიტიკა და ომისა და მშვიდობის საქმეები რუსეთს გადასცა, შინაურ მართვა-გამგეობაში კი მასა და მის მონაცვლეებს სრული დამოუკიდებლობა, ან ავტონომია, უნდა ჰქონოდათ.

ამავე ტრაქტატიდან გამომდინარეობს სხვათა შორის ავტონომიური საქართველოს მონაწილეობა საერთო მიზნისათვის საჭირო ხარჯში, რუსეთის წარმომადგენლის კანტროლი, საქართველოს წარმომადგენლობა რუსეთის პარლამენტში და სხ.

ერთი სიტყვით, საქართველო შეიქნა ნახევრად-დამოკიდებულ სახელმწიფოდ, რომლის დამახასიათებელ თვისებასაც, ფ. მარტენსის სიტყვით, წარმოადგენს საგარეო პოლიტიკის გადასვლა სხვა სახელმწიფოს ხელში და სრული ავტონომია შინაურ მართვა-გამგეობაში. მაშასადამე, იმ პოლიტიკურ-უფლებრივ მდგომარეობას, რომელიც განსაზღვრულია ხსენებული ტრაქტატით, ეწოდება ერთსა და იმავე დროს ნახევრად დამოკიდებული სახელმწიფო და ავტონომია.

მართალია, ტრაქტატი გულისხმობს აგრეთვე თანხმობით, გაერთიანებულ ბრძოლას ომის დროს და სავაჭროსი და ეკონომიური უპირატესობის მინიჭებას ორისავე მხარისათვის, მაგრამ ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ტრაქტატი გარეშეიცავს მჭიდრო პოლიტიკურსა და ეკონომიურ ურთიერთობას რუსეთსა და საქართველოს შორის და არა შინაურ მართვა-გამგეობის გაუქმებას.

როგორცა ვთქვით, შინაური მართვა გამგეობა უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი. საბაჟო და სავაჭრო პოლიტიკა, ფული, ადმინისტრაცია, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო კანონები, საზოგადო, ძირითადი ხასიათის კანონმდებლობა და სხ.—საქართველოს ავტონომიის ხელში უნდა დარჩენილიყო.

მაგრამ როგორ შეეძლო საქართველოს განეხორციელებია ხსენებული საერთაშორისო უფლებანი?! რა-კი საგარეო პოლიტიკა რუსეთის ხელში გადავიდა, საქართველოს აღარ უნდა ჰყოლოდა უცხო სახელმწიფოებში ეგრეთ წოდებული დიპლომატიური აგენტები, რომელნიც აწარმოებდენ პოლიტიკურ ხელშეკრულობათა, ომისა, ზავისა და სხვა ამგვარ პოლიტიკას, მაგრამ სრული უფლება ჰქონდა ჰყოლოდა კონსულები, რომელნიც წარმოადგენენ საერთაშორისო სოციალურ-კულტურულისა და სავაჭრო-სამრეწველო საქმეების მომწესრიგებელ ორგანოებს (იხ. ფ. მარტენსის „თანამედროვე საერთაშორისო უფლება განათლებულ ხალხთა, ტომი“ 2).

ნუ გაგიკვირდება, მკითხველო, ეს, რადგან, მაგალითად, ავსტრალიის ფედერაციას, ახალ ზელანდიასა და ზოგიერთს სხვა ავტონომიას, რომელთაც ინგლისმა ავტონომიური თვითმართველობა აჩუქა, მოეპოებათ მეტ ნაკლებად ხსენებული უფლებანი, ე. ი. აქვსთ თავისი ფული, თავისი სავაჭრო და საბაჟო პოლიტიკა (ასე გასინჯეთ, ინგლისიდან შეტანილ საქონელსაც კი ადებენ ბაჟს) და სხ.

ფინლიანდია შეუერთდა რუსეთს 1809 წ. შვეციასა და რუსეთს შორის დადებული ფრიდრიხსგამის „ტრაქტატის“ ძალით. ამ ხელშეკრულობის მეოთხე მუხლში წერია: „ფინლიანდიის ყველა პროვინცია, მცხოვრებლებით, ქალაქებით, ნავთსადგურებით, ციხეებით, სოფლებით, კუნძულებითა და მიწაწყლებით გადადის რუსეთის იმპერიის სრულ საკუთრებასა და მორჩილებაში“. ამისდა მიუხედავად რუსეთის (იხ. ფ. მარტენსის თხზ. ტომ. 1) იმპერატორმა აჩუქა ამ პროვინციას ისეთი ავტონომია, რომელიც შეედრება საქართველოსა და რუსეთს შორის დაბულ ხელშეკრულობაში აღნიშნული ავტონომიის გარეშემცველობას,

ამგვარად უნდა ბოლო მოეღოს იმ ცრუ შეხედულობას, ვითომ ფინლიანდია, ავსტრალია, ახალი ზელანდია და კანადა წარმოადგენდენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს. პირიქით, ისინი არიან უბრალო ავტონომიური პროვინციები იმისდა მიუხედავად, რომ მინიჭებული აქვსთ ფართო ავტონომიური უფლებანი.

მაშ რა დიდი ცოდვა იქნება, რომ განახლებულმა რუსეთმა აღადგინოს ძველი მთავრობის მიერ დარღვეული ხელშეკრულობა და დაუბრუნოს საქართველოს ხსენებული ტრაქტატით განსაზღვრული ავტონომიური თვითმართველობა, რომელიც სრულიადაც არ აღემატება თავისი გარეშემცველობით ფინლიანდიის, ავტრიალიის, ახალი ზელანდიისა და სხ. ავტონომიების უფლებათ?!

მაგრამ დღეს ყველას ენაზე აკერია რუსეთის ფედერატიული ანუ საკავშირო, რესპუბლიკა. რასაკვირველია, ეს უტოპიაა, განუხორციელებელი, ოცნებაა: კავშირი გულისხმობს მოკავშირეთა ნებაყოფ-
კრებას დაესწრო ღენ. იუდენიჩი, რომელ-
ლობას, რუსეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია კი—ცენტრის, ე. ი. დამფუძნებელი კრების, მიერ იქნება შედგენილი.

ფედერატიულ სახელმწიფოს ახასიათებს სხვათაშორის მცირეთა და დიდ შემადგენელ ავტონომიურ ნაწილთა თანასწორი წარმომადგენლობა ზედა პალატაში, აი ამის მაგალითები:

შვეიცარიაში შტატების კავშირში (ზედა პალატაში) თვითო კანტონს ჰყავს ორ-ორი დეპუტატი (ქვედა პალატას, რომელშიაც თვითეული კანტონი მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით გზავნის წარმომადგენლებს, ეწოდება საერო საბჭო).

ჩრდილო ამერიკის ზედა-პალატაში (სენატში) თვითეულ შტატს, დიდია ის თუ პატარა, ჰყავს ორ-ორი წარმომადგენელი.

მექსიკის ფედერატიულ რესპუბლიკაში თვითეულ შტატს ჰყავს სენატში ორ-ორი წარმომადგენელი.

არგენტინის ფედერატიულ რესპუბლიკაში თვითეულ შტატს ჰყავს სენატში სამ-სამი წარმომადგენელი.

ავსტრიალიის ფედერაციაში თვითეული შტატი აგზავნის სენატში ექვს-ექვს წარმომადგენელს.

და, რადგან ყველგან სენატი თავისი საკანონმდებლო კომპეტენციით უდრის ქვედა პალატას, თვითეულის პატარა შტატის უფლებანი უზრუნველყოფილია.

მეორე მხრით, ხსენებული ფედერატიული რესპუბლიკები წარმოადგენენ შემადგენელი ნაწილების თავისუფალი მოლაპარაკების შედეგს.

სულ სხვაგვარად არის საქმე გერმანიაში. აქ ეგრეთწოდებულს საკავშირო სეიმში, სადაც სხდან გერმანიის სახელმწიფოთა წარმომადგენელნი (მოხელენი), პრუსიას დიდი უპირატესობა აქვს.

ავსტრიაში ზედა-პალატაში (ბატონთა პალატაში) სხედან წარჩინებულ გვარების მეთაურები და იმპერატორს აქვს უფლება დანიშნოს მის წევრად, ვისაც ის ღირსად სცნობს.

მაშასადამე, იქ, სადაც სახელმწიფოთა კავშირი ძალაზეა აშენებული, პატარა შტატებს ანუ შემადგენელ ავტონომიურ ერთეულებს, არა ჰყავსთ იმდენივე წარმომადგენელი ზედაპალატაში, რამდენიც დიდ შტატებს.

შესაძლებელია თუ არა, რომ რუსეთის ფედერატიული რესპუბლიკის ზედა-პალატაში იმდენივე ადგილი დაუთმონ მაგალითად, ქართველებს, სომხებს, ლიტველებს, თათრებსა და სხ., რამდენიც ექნებათ ველიკოროსებს? ცხადია, რომ ეს—არაოდეს არ იქნება და, მაშასადამე, რუსეთის ფედერატიული რესპუბლიკა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით განუხორციელებელია, უტოპიაა, რომელსაც მთელი ჩვენი ენერგია არ უნდა შევალიოთ. 1783 წლის ტრაქტატის განხორციელება კი—შესაძლებელი იქნება ადრე თუ გვიან, რადგან რუსეთს ამით უზენაესი უფლება, სიუზერენიტეტი, არ დაეკარგება (როგორც არ დაჰკარგვია, მაგალითად, ფინლიანდიის მიმართ). ეს ტრაქტატი წარმოადგენს, მაშასადამე, რეალური პოლიტიკის საფუძველს.

შესაძლებელია თუ არა, დღესვე განვახორციელოთ? ეს პოლიტიკური იდეალი ცხადია, რომ ამის თქმა ძნელია, უეჭველია ისიც, რომ ჩვენ არ ვიტყვით უარს იმაზე, რის მოპოებაც დღესვეა შესაძლებელი. მაგრამ ჩვენი სიტყვა დღესვე უნდა ვსთქვათ, ჩვენი ისტორიულ-ეროვნული უფლებანი დღესვე უნდა მოვითხოვოთ: თქმა—პირველი ნაბიჯია წინ იდეალის განხორციელებისაკენ.

ვასილ წერეთელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეს ყველაფერი გამოიწვია გათავამებულ ყმაწვილის მეტიჩრობამ.

კიდევ კარგი, რომ ასეწადვილათ წაუვიდა საქმე; რომ შეიძლებოდა, შედეგი საშინელი მოჰყოლოდა, რადგან ზოგს ჯარის-კაცს ეგონა, რომ მოწაფეები მათ ებრძოდენ.

რედაქცია'ში შემოსულ მოწაფეთა აღშფოთებას ჩვენც ყურადღებით და დაბეჯითებით ვთხოვთ გონიერ ნაწილს ახალგაზდობისას ყოველი ზომა მიიღონ, რათა ასეთი სამწუხარო და დასაგმობი მოვლენა არ განმეორდეს.

ნუ დაივიწყებენ, რომ ერთს ცუდს საქციელს შეიძლება ოცი და ასი შეეწიროს სრულიად შემთხვევით, უმიზნოთ და უაზროთ.

რედ.

ეროვნულ-დემოკრატიული

პარტიის მიტინგი ქ. ფოთში.

კვირას 26 მარტს აქ ეროვნულ დემოკრატიული პარტიის მიტინგი გაიმართა. ნაშუადღევის 4 საათიდან ხალხმა მოგროვება იწყო საკათედრო ტაძრის მოედანზე. მიტინგზე მონაწილეობას ღებულებდა თბილისიდან საგანგებოთ მოწვეული სპ. კედია. კრება გახსნა მოქალაქე როსტომაშვილმა. პირველად ხალხს სიტყვით მიმართა მოქ. სპ. კედიამ. მან აღნიშნა ჩვენი გათიშული მუშაობისა და ერთმანეთ შორის ურიგო ბრძოლის ცუდი შედეგები და მოუწოდა ხალხს შეთანხმებულ მოქმედებისაკენ. ხოლო ყველა ქართველის შემაერთებელ იდეად მან ეროვნული იდეა აღიარა. მოლაპარაკე შეეხო ჩვენში გავრცელებულ ცრუ ხმებს და უნდოდა განემარტა ხალხისათვის, თუ რას ითხოვს ქართველი შეგნებული ნაწილი, რომ ამ დროს მსმენელთა მოშორებულ წყებიდან გაისმა ჩვეულებრივი „ძირს“ და სხვა ასეთები. ორატორი იძულებული გახდა მეტად უმგვანო აკომპანიმენტის დროს ელაპარაკნა, მაგრამ საზოგადოების მეტი ნაწილი გულდასმით უსმენდა მოლაპარაკეს. შემდეგ ორატორების ლაპარაკის დროს აურზაური გაძლიერდა. ხელის შემშლელნი არც მიდიოდენ და არც ანებებდენ თავს აურზაურს. მაშინ მათ მიმართა ს. დემ. წარმომადგენელმა მოქალაქე მეგრელიძემ. სთხოვა წესრიგის დაცვა და ყოველივე თქმულის შვიდობიანად მოსმენა, მით უმეტეს რომ არავის საწინააღმდეგო აქ არაფერი თქმულა. მიუხედავათ ს. დ. პარტიის მეორე წევრის მოწოდებისა, შემდეგ ორატორებს მაინც ძლიერ უშლიდა ეს ბრბო ხელს. ილაპარაკეს სხვათა შორის გრ. ლაღიძემ და სხვა ახალგაზდებმა. მსმენელთა მეტ ნაწილმა დინჯათ მოისმინა ყოველივე და თვისი თანაგრძნობა ტაშით დაადასტურა. ხალხს იქვე გამოუცხადეს კრების დახურვის წინ—მეორე კრება საღამოს 8 საათზე ვაჟთა გიმნაზიის დარბაში გაიმართებაო. მეორე კრება მოხდა დამსწრეებით სავსე დარბაზში. სპ. კედია შეეხო ყველა მიმართულებებს, მიუდგომლად გაარჩია მათი მთავარი მუხლები და თვისი სიტყვა ყველა პარტიათ ერთი მთავარი იდეის გარშემო შეკავშირების სურვილით დააბოლავა. ილაპარაკა მოწაფე ბ. კალანდარიშვილმაც. ხალხმა მხურვალე ტაშით დააჯილდოვა მოლაპარაკენი და ნასიამოვნებმა დაშლა იწყო.

მისალმების დეპეშები.

დ. ხარაგაულის ეროვნულ-დემოკრატების საჯარო კრებამ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა თ-დ ლვოვს:

„პეტროგრადი. თ-დ ლვოვს საქ. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის დ. ხორაგაულის ადგილობრივი კომიტეტის მიერ მოწვეული საჯარო ყრილობა სალამს უძღვნის რა თქვენის სახით თავისუფალ რუსეთს, ამასთანავე ერთად აღფრთოვანებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ახალი მთავრობა თავისუფალ და ძლიერ რუსეთის განმტკიცებას შეუდგა რუსეთის წვრილ ეროვნებათა ეროვნულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პრინციპით, მათ შორის საქართველოისაც, რომელსაც სწყურია აღდგენილი იქმნეს თავისი ეროვნული უფლებები, ძველი რუსეთის ბიუროკრატიულმა წესწყობილებამ რომ გასთელა.“ დ. ხორაგაულის ეროვნულ-დემოკრატების საჯარო ყრილობა.

ამ დეპეშის ასლი გაეგზავნა მუშათა და სალდათთა საბჭოს თავმჯდომარეს კ. ჩხეიძეს, მ. როძიანკოს და იუსტიციის მინისტრს კერენსკის.

მოწოდება

ქართველო ხალხო განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა ესწრაფეთ დაიმუშავოთ ყოველივე ნაჭერი თავისუფალი ადგილისა, დაეხმარეთ ერთმანეთს, დასთესეთ საჩქაროთ უფრო პური, სიმინდი, ქერი, ფეტვი, კარტოფილი და ბოსტნეული, რომ ერმა თავი დააღწიოს უსაშინელეს კარზე მომდგარ სიმშილს. თუ ჩვენი მოსავალი არ მოგვივიდა, უბედურება ელის ერს. არ დაზოგოთ ფული და შრომა, რომ უზრუნველ ჰყოთ თქვენ თქვენი თავი და თქვენი ოჯახი. სხვისი იმედი ნულარ გაქვთ.

სიდინჯე!

ახალი მთავრობას განმტკიცება სჭირია. ყოველ მშვიდობიანობის დარღვევა, პარტიათა შორის გამწვავება ამ მიზნისთვის უაღრესად მავნეა. ამიტომ გთხოვთ ერიდოთ ყოველ მოქმედებას, რომელსაც შეუძლია გაუგებრობა გამოიწვიოს.

იმ პირთა შესახებ, რომელნიც ეწევიან პროვოკაციას, ცილს სწამებენ პარტიებს და მოწინააღმდეგეებს სასურველია შეატყობინოთ, ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტს, რადგან ისინი არიან შეგნებული, თუ შეუგნებელი, მტერნი რევოლიუციისა.

ქუთ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტი.

კიტა აბაშიძეს გაეგზავნა შემდეგი დეპეშა:

„**თბილისი.** კავკასიის კომისარიატის წევრს კიტა აბაშიძეს. ვესალმებით რა თქვენს დანიშვნას კავკასიის კომისარიატის წევრად, დარწმუნებულნი ვართ, რომ თქვენ, როგორც ქართველი ხალხის ეროვნულ მისწრაფებათა საუკეთესო დამცველი, მთელს თქვენს ძალღონეს და მხნეობას მათ მისაღწევად არ დაიშურებთ გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს და მასში თავისუფალ საქართველოს.

დ. ხორაგაულის ეროვნულ-დემოკრატების საჯარო ყრილობა.

ამავე შინაარსის დეპეშები გაუგზავნია. დ. ძირულის ეროვნულ-დემოკრატების საჯარო კრებას.

სახელმწიფო სათათბიროსგან

დროებით მთავრობასთან არსებული სამხედრო კომისია იუწყება: კომისიასთან დაარსებულია საინფორმაციო განყოფილება, რომელსაც უნდა გაეგზავნოს ყოველ პერიოდულ გამოცემის სამი ეკზემპლიარი აგრეთვე ოქმები, დადგენილებანი და სამხედრო უწყების განკარგულება, რომელიც შეეხება წესრიგის დასამყარებლად მოწოდებას და ახალ მთავრობასთან სოლიდარულ განწყობილების ჩამოგდებას. მისამართი: „Петроградъ Гос. Дума, военная комиссія при временномъ правительствѣ завѣдывающему отдѣломъ информаціи В. М. Три ицкому.

სამხ. კომისია, სთხოვს ყველა ყოველ დღიურ გამოცემებს, რომ ეს წერილი დაბეჭდონ.

უკრაინის ავტონომია.

უკრაინის შეერთებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ცენტრალური საბჭოს დელეგაცია პეტროგრადს მიემგზავრება, რათა წინადადება მისცეს დროებით მთავრობას პრინციპიალურად აღიარონ და გამოაცხადონ ავტონომიის უფლება უკრაინისათვის.

ქართველ კათოლიკეთა დადგენილება.

25 მარტს, ქართველ კათოლიკეთ კრება ჰქონდათ და დაადგინეს: აღდგენილ იქმნას ქართველ-კათოლიკეთა საეპისკოპოსო კათედრა ქ. თბილისში, რომელიც არსებობდა რომის პაპის ბულლით მეცამეტე საუკუნეში. ამისთვის არჩეულ იქმნა ბიურო, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ყოველის მხრივ საკითხი ხსენებულ კათედრის აღსადგენათ საქართველოს დედა ქალაქ თბილისში. ამ ბიუროში კრებამ აირჩია შემდეგი პირები: ა. ი. გურჯი, მ. ი. მღებრიშვილი, მ. პ. პარმახსიშვილი, ზ. პ. ფალიაშვილი, გ. ზ. ისარლიშვილი, კ. ფ. სააკაძე, პ. პ. ლითანოვი, ს. ე. ყარაგოზიშვილი, ი. პ. საანიშვილი და ნ. ა. ვართანოვი. ხოლო ბიურომ პრეზიდიუმში აირჩია: თავმჯდომარედ მ. პ. პარმახსიშვილი, მის ამხანაგად ა. ი. გურჯი, მდივნად მ. ი. მღებრიშვილი და ხაზინადრად ს. ე. ყარაგოზიშვილი.

(„საქ“).

როგორ შეხვდნენ გერმანელები რუს. სოც.-დემოკრატების მოწოდებას.

გერმანელ სოც.-დემოკრატების გაზეთი „ფორვერტსი“ სწერს: „გერმანელებსა სთხოვენ, რომ გერმანეთში რესპუბლიკა დაამყარონ. ასეთი მოთხოვნა მხოლოდ გერმანელებს შეუძლიათ წამოაყენონ და არა რუსებს, ინგლისელებს, ფრანგებს და იტალიელებს. გერმანეთში უმრავლესობა მონარქისტები არიან და მხოლოდ დემოკრატიულ რეფორმებსა თხოულობენ. როცა მონარქია ხალხის სურვილს შეასრულებს, სარესპუბლიკო აგიტაცია ნიადაგს დაჰკარგავს. უცხო სახელმწიფოთა ცდა გერმანეთის შინაურ საქმეებში ჩასარევად მხოლოდ ომს გააგრძელებს.

— გერმანელ სოც.-დემოკრატების უმრავლესობის წარმომადგენელს დეპუტატს დავიდს პარლამენტში განუცხადებია: მილიუკოვი და მისი მომხრენი გერმანეთის მტრები არიან და ამიტომ ჩვენ მხოლოდ ჩხეიძისა და კერენსკის იმედი გვაქვს. კერენსკის კი უთქვამს: „გაზეთები ნაწყვეტ-ნაწყვეტად გვაწვდიან ცნობებს. ამ ცნობების მიხედვით ძალიან ძნელია გავიგოთ, თუ რა იმედი აქვს დეპუტატ დავიდს ჩემი და ჩხეიძისა. თუ მას ჰგონია, რომ ჩვენ სეპარატიული ზავის მომხრენი ვართ, ძალიანა სცდება. ხოლო თუ იმედი აქვს, რომ გერმანელი ხალხი თავის მთავრობას ჩამოაგდებს, მაშინ ჩვენ ამ მოვლენას სიხარულით მივეგებებით. მხოლოდ მაშინ შეიძლება მორიგებაზე ლაპარაკი. მე მრწამს, რომ მეომარი ხალხები უფრო საერთოდ დამაკმაყოფილებელ ზავს ჩამოაგდებენ, ვიდრე ის მეფენი, რომელთაც ეს სასტიკი ომი ასტეხს.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამა.

1 ეროვნული საგანი.

ერის ქონებრივ, სულიერ და ფიზიკურ ძლიერების შესაქმნელათ აუცილებელია პოლიტიკური თავისუფლება.

ეროვნულ ძალთა ზრდა-განვითარება ერს აუცილებლივ პოლიტიკურ უფლებების მოპოებამდე მიიყვანს.

საქართველოს ეროვნული უფლებები.

ქართველი ერი მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ეწეოდა თავისუფალ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას.

1783 წლის ხელშეკრულობით საქართველომ მიიღო რუსეთის მფარველობა (პროტექტორატი). ქართველ ერს უნდა დარჩენოდა საკუთარი კანონმდებლობა და მთავრობა, საკუთარი ხაზინა, ჯარი, სამართალი, ეკლესია.

1801 წლის ენკენისთვის 15 მანიფესტით რუსეთმა დაარღვია საქართველოსთან დადებული ხელშეკრულობა და სრულიად გააუქმა ქართველ ერის სახელმწიფოებრივი უფლებები.

საქართველოს პოლიტიკური უფლებები უნდა იქნეს აღდგენილი.

2. პოლიტიკური საგანი.

სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის წესი და მოქალაქეთა უფლებრივი ურთიერთობა უნდა შეესაბამებოდეს ერის ეკონომიურსა და კულტურულ ვითარებას, ერის ბუნებას და ზნეჩვეულებას.

ა. საქართველოს პოლიტიკური ავტონომია.

1. დაუყონებლივ უნდა დამყარდეს საქართველოს პოლიტიკური ავტონომია დემოკრატიულ-რესპუბლიკურ საფუძველზე აგებული.

2. ავტონომიის კონსტიტუციას შეადგენს თბილისში შეკრებილი საქართველოს ეროვნული კრება.

3. ეროვნულ დამფუძნებელ კრების არჩევაში მონაწილეობას მიიღებს ყოველი სრულ-წლოვანი მოქალაქე განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა, საყოველთაო, თანასწორის, პირდაპირის და ფარულ ხმის მიცემით.

4. საქართველოს ავტონომიურ კანონმდებლობას და მმართველობას ექვემდებარება საქართველოს საზღვრებში ცხოვრების ყოველი საგანი გარდა; ა) ომის და ზავის საკითხისა, ბ) საგარეო პოლიტიკისა და გ) რუსეთის სახელმწიფოსთან საერთო ბიუჯეტისა, რაც რუსეთთან საერთო კანონმდებლობის კომპეტენციას შეადგენს.

შენიშვნა. ქართველი მოლაშქრენი (მილიცია) მშვიდობიანობის დროს სამსახურს საქართველოს საზღვრებში იხდიან.

5. ავტონომიური მართვა-გამგეობა ვრცელდება სრულიად საქართველოს ტერიტორიაზე.

6. საქართველოს ტერიტორია შეიცავს: თბილისის და ქუთაისის გუბერნიებს, ბათუმის მხარეს, სოხუმის, ზაქათალის, არტანის და ოლთისის ოლქებს, ნაწილს სოჩის ოლქისას (შავი ზღვის გუბერნია) და ახლად დაპყრობილ ოსმალეთის საქართველოს—ისპირს, თორთუმს და ლაზისტანს, რომელნიც მრავალ საუკუნეთა სახელმწიფოებრივის, კულტურულის და ეკონომიურის ურთიერთობით შეკავშირებულ ერთეულს წარმოადგენენ.

შენიშვნა. ამ საზღვრებში დასახლებულ უცხო ეროვნებათა ეროვნულ-კულტურული უფლებები საქართველოს ავტონომიის ძირითადის კანონით იქნება დაცული.

ბ. მოქალაქობრივი უფლებები.

1. საქართველოს ყველა მოქალაქე, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა, სარწმუნოებისა და ქონებრივის მდგომარეობისა უფლებრივად თანასწორია.

შენიშვნა. ა) ისპობა ყოველგვარი წოდებრივი უპირატესობა.

ავტონომიური კონსტიტუცია ყოველს მოქალაქეს ანიჭებს ხელუხლებლობას პიროვნებისა და ბინა-სადგომისას და სიტყვისა, ბეჭდვისა, კრებისა, კავშირისა, სინდისისა და მიმოსვლის თავისუფლებას.

3 ყველა ეს უფლებები შეტანილი უნდა იქმნეს ავტონომიის კონსტიტუციაში და დაცული სისხლის სამართლის წესით.

გ. სამართალი.

1. თუ არა სასამართლოს განაჩენით, ისე არავინ არ უნდა დაისაჯოს.

2. მსაჯულებს ირჩევს ხალხი.

3. კანონი და სასამართლო ყველასათვის საერთოა.

4. სისხლის სამართლის საქმეებს არჩევს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

5. ყოველ მოქალაქეს ნება აქვს პასუხისგებაში მისცეს კანონის დამრღვევი, ვინც უნდა იყოს მისი დამრღვევი.

6. მოსამართლეთა გადაყენება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს განაჩენით.

დ. თვითმართველობა

ფართო ადგილობრივი თვითმართველობა საქალაქო და სასოფლო.

ე. სწავლა-განათლება.

1. პირველდაწყებითი სწავლა უფასო და სავალდებულოა.

2. ფართოდ გავრცელება ავტონომიის ხაზინის ხარჯით საზოგადო, სატეხნიკო, სამეურნეო და საკომერციო სწავლა-განათლებისა.

3. თავისუფლება სასწავლებლების დაარსებისა და სკოლის გარეშე სწავლისა.

4. უნივერსიტეტისა და უმაღლეს სასწავლებელთა თავის ავტონომიური მართვა-გამგეობა.

ვ. ეკლესია

1. საქართველოს ეკლესია ავტოკეფალურია.

2. ეკლესია სახელმწიფოსაგან განცალკევებულია.

ზ. ფინანსები.

1. შემოღება პროგრესიულ (შემოსავლის კვალობაზე) გადასახადისა ყოველგვარ შემოსავლსა და მემკვიდრეობაზე.

შენიშვნა: მცირე შემოსავალი გადასახადისაგან სრულიად თავისუფალია.

2. არაპირდაპირი გადასახადი პირველ საჭიროების საქონელზე უნდა მოისპოს.

3. ეკონომიური საგანი.

1. კერძო საკუთრების დამყარებამ გზა გაუხსნა ადამიანის შრომას, შემოქმედებას, თაოსნობას და მით განამტკიცა პროგრესი და ცივილიზაცია.

კერძო საკუთრება ღერძია ხალხთა ეკონომიურ და კულტურულ ზრდა-განვითარებისა.

კერძო საკუთრება საფუძველია საზოგადოებრივის წყობილებისა და პიროვნების თავისუფლებისა.

ა. მიწა და მეურნეობა.

1. საქართველოს ავტონომიურ მმართველობამ უმამულო და მცირე მამულიან მკვიდრ მიწად-მომქმედს უნდა აღმოუჩინოს საკმაო მიწის შეძენის საშუალება.

2. ავტონომიას გადაეცემა სახაზინო და საუფლისწულო მამულები.

3. საქართველოს მთავრობამ უნდა გამოისყიდოს სამართლიანის შეფასებით ყველა მსხვილ მემამულესაგან, რაც დაწესებულ რაოდენობაზე მეტი სახნავ-სათესი, ტყე თუ საძოვარი ექნებათ.

შენიშვნა: ამავე წესით გამოისყიდება საეკლესიო მამულებიც.

2. ავტონომიის ამ მიწის ფონდიდან მიეცემა ყველა მკვიდრ უმამულო თუ მცირე მამულიან მიწად-მომქმედს საკმაო მიწა იჯარით, ან სრულ საკუთრებად გძელვადიან სესხის საშუალებით.

5. ამასგარდა მათ ავტონომიურმა მთავრობამ უნდა აღმოუჩინოს ქონებრივი და ტეხნიკური დახმარება დასახლებისა და მეურნეობის მოწყობის საქმეში.

6. სახელმწიფოს ხარჯით მიწების მოსარწყავად არხების გაყვანა და ჭაობების დაშრობა და აგრეთვე სხვა ღონისძიებანი მიწის განოყიერებისათვის.

7. ფართო და იაფი სამეურნეო სესხი და აგრეთვე მეურნეთა დახმარება აგრონომიულ სწავლა-განათლების გავრცელებით, სახაზინო ინსტრუქტორებისა და აგრონომების დანიშვნით, საცდელ მინდვრებისა, ლაბორატორიებისა და სხვა მეურნეობის გამაუმჯობესებელ დაწესებულებათა მოწყობით.

8 მამულების საყოველთაო გამიჯვნა ავტონომიურ საქართველოს ხაზინის ხარჯით.

9 სახელმწიფოს საშუალებით სოფლად სხვა და სხვა დარგის შინა-მრეწველობის შექმნა.

ბ. ვაჭრობა და მრეწველობა

1. ავტონომიური მთავრობა უნდა ზრუნავდეს, რომ ხალხისთვის საჭირო ყოველი საქონელი ადგილობრივ მზადდებოდეს.

2. საქართველოს მთავრობა და კანონმდებლობა ხელს უნდა უწყობდეს ეროვნულ მეურნეობისა, მრეწველობისა და აღებ-მიცემობის ზრდა-განვითარებას.

3 უნდა სცდილობდეს მიმოსვლის გაადვილებას და გაიაფებას რკინისგზებისა და შარა გზების გაყვანით, მდინარეების გაწმენდით, ნავთსადგურების აგებით და ნაოსნობის განვითარებით.

4 უნდა ეხმარებოდეს ეროვნულ მეურნეობას სავაჭრო და სამრეწველო სესხით, საწყობებისა და ელევატორების მოწყობით, ბირჟებისა, სავაჭრო პალატისა და სხვა ასეთ დაწესებულებათა დაარსებით და საკომერციო-სატეხნიკო სწავლა განათლების გავრცელებით.

გ. შრომის უფლება.

1. ავტონომიური კანონმდებლობა სავსებით უნდა უზრუნველჰყოფდეს მშრომელთა სამართლიან უფლებებს.

2. მწარმოებლისა და ქალაქის თუ სოფლის მუშის შორის ეკონომიურ ნიადაგზე ჩამოვარდნილ უთანხმოების მშვიდობიან გადასაწყვეტათ უნდა დაარსდეს მწარმოებელთა და მუშათაგან არჩეული სამედიატორო სასამართლოები (შემარიგებელი კამერები), რომელნიც დაემქვემდებარებიან შრომის სამინისტროს.

3. თავისუფლება გაფიცვისა და კავშირებისა.

4 მუშათა სავალდებულო დაზღვევა

შემთხვევისა და შრომის უნარის დაკარგვისაგან.

5 შემცირება სამუშაო დღისა; უახლოეს დროში 8 საათის სამუშაო დღის შემოღება.

6. ყველა წარმოებაში სანიტარულ და ჰიგიენურ მოთხოვნილებათა დაცვა.

7. აკრძალვა ბავშვების მუშაობისა ფაბრიკა-ქარხნებში 16 წლამდე და საზოგადოთ მცირეწლოვანთათვის მუშაობის შემცირება.

8. ქალთა და მცირე წლოვანთათვის მუშაობის აკრძალვა, სადაც ეს მათის ჯანმრთელობისა და აგებულობისათვის მავნებელია.

6. სახელმწიფო ვალდებულია ყოველ მკვიდრს სამუშაო მოუპოვოს.

10. შრომის ინსპექცია როგორც ქალაქის, ისე სოფლის მუშებისათვის.

11. შრომის დაცვის კანონების დარღვევა სისხლის სამართლის წესით უნდა ისჯებოდეს.

(„საქ.“

კონტრ რევოლიუციის ნასახების მოსპობა.

ცნობილი გენერალი ივანოვი, რომელიც უკანასკნელ ხანამდე ერდგული დარჩა ნიკოლოზს და რომელიც რევოლიუციის ჩასაქრობად სცდილობდა პეტროგრადში „წმიდა გიორგის კავალერების“ პოლკი მიეყვანა პეტროგრადში, როგორც ვიცით მისი გადაყენების შემდეგ კიევში გაიქცა და იქ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის ჩასვლას ელოდა. მაგრამ იგი დაატუსაღეს და პეტროგრადს გაამგზავრეს. როდესაც ის ვაგონიდან გამოსულა, ჯარის კაცები შემორტყმიან მას და მოუთხოვიათ, რომ თავისი ბარგი თვითონვე წაეღო გენერალს. ივანოვი დამორჩილებია ბედს და მთელი ტვირთი თვითონ წაუღია.

ეროვნული ვითარება.

„თავისუფალი პოლონეთი“ და ლედნიცკის აზრი.

პოლონეთის საქმეთა სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარემ ალ. ლედნიცკიმ დამოუკიდებელ პოლონეთზე საუბრის დროს შემდეგი გამოსთქვა:

გაერთიანებულ პოლონეთის სახელმწიფოებრივი წესწყობილება დამფუძნებელ კრებას მოიწვევს ქ. ვარშავაში. ხმა გავრცელდა, თითქოს პოლონეთის ხალხი მონარქიულ წესწყობილების მომხრე იყოს, მაგრამ ამავე დროს ნურავის დაავიწყდება, რომ დღეს პოლონეთს არ მოეპოება მონარქიული ტრადიცია, მას არა ყავს დღეს არც იაგელოვები და არც პიასტოვები. მონარქიისთვის პოლონელებს აღარ შერჩათ არც დინასტია. ამ ჟამად არც ერთ პოლონურ მიმდინარეობას აზრად არ აქვს მონარქიული მმართველობის მიმხრობა. პირიქით პოლონეთის ხალხი მოითხოვს რესპუბლიკურ წესწყობილებას, როგორც ამას რუსეთის დანარჩენი ხალხი სთვლის საჭიროდ. ბოლოს მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ პოლონეთსა და რუსეთის შორის ეკონომიური ხელშეკრულება უნდა დაიდოს განსაკუთრებულ ხელშეკრულებით, რომელიც ორივ მხარის ინტერესების დასაცავად და სასარგებლოდ დაიდება.

⁂

პოლონური დროშა.

18 ამა მარტს ქ. კიევში მოხდა პოლონელ მცხოვრებთა ეროვნული მანიფესტაცია. მანიფესტაციაში მონაწილეობა მიიღო 863 წ, 831 წ. აჯანყებათა ორმა გმირმა. ქუჩაში გაატარეს 831 წ. და 863 წ. აჯანყების დაფლეთილი დროშა. მანიფესტაციაში მოსჩანდა აგრეთვე კოსტიუშკის და სარდალ მაზოვეცკის დროის დროშები.

⁂

უკრაინელები.

კიევში უკრაინელები დიდ მოქმედებაში არიან. 18 მარტს ეროვნულ მიტინგზე მათ ერთხმათ განუცხადეს, რომ **ილაპარაკონ მხოლოდ უკრაინულ ენაზე.**

19 მარტს მოხდა უკრაინელთა საერთო ეროვნული მიტინგი, რომელზედაც დამსწრეთა უმრავლესობა ეროვნულ ტანთსაცმელში იყო გამოწყობილი.

მოწერილი ამბები.

ს. ღანირი. (ქვემო იმერეთი) ადგილობრივმა დროებითმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 25 მარტს მოიწვია ს. ღანირის საზოგადოების კრება. კრებას დაესწრო საზოგადოების შემადგენელი: სოლების, ღანირის, ქვიტირის, ჯიხაიშის და გვაზაურის მცხოვრებნი კრების თავმჯდომარეთ აირჩიეს ნიკ. რუხაძე. აღმასრ. კომიტეტის წევრმა მღ. დ. ჩხაიძემ კრებას წარმოუდგინა რამოდენიმე საკითხი განსახილველად, მაგრამ კრებამ საკითხები არ განიხილა და მოითხოვა თვით კომიტეტის ხელ-ახლა არჩევა არჩევნებში დემოკრატიული პრინციპების გატარებით. ლაპარაკობდა მრავალი ორატორი, რომელნიც სამ აზრის გარშემო ტრიალებდენ. გ. ელიავამ მოითხოვა გადაყენებული ყოფილიყო აღმასრ. კომიტეტის ორი წევრი მღ. დ. ჩხაიძე და მიქალავაძე. ლ. დგებუაძე და ი. გრიგოლია მოითხოვდენ არსებული აღმასრ. კომიტეტი დაშლილიყო და მის მაგიერ ამოერჩიათ ახალი საყოველთაო, თანასწორის, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით განურჩევლად სქესისა. აღმასრულებელი კომიტეტის წევრები კი მოითხოვდენ დარჩენილიყო ძველი კომიტეტი. მრავალ ორატორთა სიტყვის შემდეგ, კრებამ სამართლიანად სცნო ლ. დგებუაძის და გრიგოლიას წინადადება და მოითხოვა ახალი კომიტეტის არჩევა. მაგრამ არჩევნები გადასდო კვირა 26 მარტისთვის, რადგანაც უკვე ღამდებოდა და წვიმდა კიდეც.

კვირას 26 მარტს, ნაშუადღევს ისევ მოიყარა თავი ხალხმა. წინა დღის გადაწყვეტილება უკვე დავიწყებოდათ.(თუ და ევიწყებინებიათ) ცრუ მეთაურნი და ბოროტი ენები წინა დღის კრების გადაწყვეტილების წინააღმდეგ ილაშქრებდენ და მიაღწიეს კიდეც მიზანს. ახალი კომიტეტი ამოირჩიეს თითის აწევით. ოცის თავებიც საერთო არეულობაში ნაწილ-ნაწილ ამოირჩიეს; სახალხო მილიციის (ანუ მამასახლისის), სოფლის მოსამართლეთა, მილიციონერთა და სხვ. ამორჩევა მიანდვეს ოცის თავებს. კრებამ მიიღო ერთხმათ ყოფილი კომიტეტის დადგენილება, რომლითაც აუკრძალავთ სასმელებით ვაჭრობა ღვინისა და მაგარ სასმელთა გაყიდვა, აიკრძალა ბანქოს თამაში, ძალით ქეიფობა და სხვ. ისეთი მოვლენანი საზოგადოების მყუდროებას რომ დაარღვევენ.

ლას დონ

მთავრობის ცვლილების ამბავი ოსმალეთის ასპარეზზე.

(ბრძოლის ველიდან).

ხშირათ გამიგონია ოჯახის-კაცი უგნურია მას თუ არ ურტყი ან არ ლანძღე ძნელათ რამე შეისმინოს, შენი დავალება აასრულოს! ამას უეჭველია ისეთები გაიძახიან, რომლებსაც თვისი ცხოვრება ძველ რეჟიმის ყრუდ მორჩილებაში გაუტარებიათ და ზოგიერთ მასწავლებლის არ იყოს ერთხელ არ ცდილან, ახლის, სალის მეთოდით ემუშავნათ. ქვეშევრდომზედ ფსიხოლოგიერათ ემოქმედოსთ როგორც ვიცით არამც თუ სამხედრო სამსახურში თვით სამოსწავლო სკოლებშიაც ძველათ სამაგალითო მასწავლებლათ ის ითვლებოდა, ვინც გაბედულათ მოსწავლეთ აგლეჯდა ყურებს ან კაი სილებს გააწნავდა. მადლობა უზენაეს რომ დროებამ ყოველივე უკუნეთის არხივში ჩაასვენა. შეიძლება ბევრს ისიც კი ეგონოს თითქოს ჯარის-კაცი იმდენათ უგნური მოუმზადებელი იყოს რომ ავისა და კარგის გარჩევა არ შეეძლოს მტკნარი სიცრუეა. ნათელი გამოგვეღიათ:

დღევანდელ სახელმწიფო ცვლილებების გაგებამ, ბრძოლის ქარცეცხლში მყოფ ჯარის კაცთა შორის უსაზღვრო აღფრთოვნება გამოიწვია.

Наконецъ дождались-ო გაისმა საერთო ძახილი აწი ცოტა მაინც გვეშველებაო.

ოღონდა ღალატი, ძალ-მომრეობა ნუ იქნება მდგომარეობა-გაგვიუმჯობესდეს ხელი მოგვიწყონ ერთგულად და მეფეთ თუ უნდათ „გოჩოლიკა“ აირჩიონ, ჩვენთვის სულერთია ვიომებთ გამარჯვებამდისო“!..

არა ნაკლები მხიარულება შეიქმნა მტრის ბანაკში: ქ. ბითლისის მთა გორებში განუწყვეტელი მუსიკის ხმა, ვითომ ჩვენს შიგნიურ უწესრიგობის ამბავი ამცნობა მაჰმადის მორწმუნეთ და საზეიმოთ მოუწოდებდა. მუსიკის ხმა მალე ჩვენმა აეროპლანების გუგუნმა ჩააჩუმა. ზევიდან გადმოყრილი ფურცლები ნათლად ამცნობდენ მათ: ინგლისელებისაგან ბაღდადის და ჩვენებისაგან ქერმანშაის აღებას, სურათი მსწრაფულ შეიცვალა. ზეიმობაში გართული ხალხი მიმოიფანტა.

ყველამ იარაღი მოიმარჯვა. გორებში ზარბაზნებიც კი აახმაურეს აეროპლანების წინააღმდეგ.-უკანასკნელათ თვისი ამოცანა შეასრულეს და მიიმალენ. საზოგადოთ ჯარებში ენტუზიაზმი დღითი დღე იზრდება და ვიმედოვნებთ შორს არ არის ის დღე როს თავისუფალი სამშობლოს წინაშე პასუხის მგებელი ძლევა მოსილი რუსეთის მხედრობა პირის-პირ შეხვდება თავისუფალ მოქალაქე ინგლისელთ, გაბედულათ უამბობს თვის მდგომარეობას და შეერთებული ძალით არსებობას მოუსპობს იმ ძველ დახავსებულ მაჰმადიანთა სახელმწიფოს რომლის დარბევა აწიოკებით არა ერთხელ შეწუხებულა ლამაზი-საქართველო.

იოლა.

პატარა წერილები.

რუსეთის ერვოლუცია დაჩაგრულ ერებს დიდ სარგებლობას პირდება, უპირველეს ყოვლისა ეს სარგებლობა ეროვნულ თავისუფლებაში გამოიხატება, ქართველ ერს, გარდა ეროვნული თვით გამორკვევისა,- რუსეთის რევოლიუციამ თავისი ნამდვილი მტერ-მოყვრობის სახეც დაანახა ქართველმა ერმა ეს ფაქტი უნდა შეიგნოს და ჩვენ წარმომადგენელ კიტა აბაშიძეს პოზიცია გაუმაგროს. სოციალ-დემოკრატების თანაგრძნობით და დახმარებით მოხდება, მაგრამ ჩვენდა დიდათ სამწუხაროდ მათგან ასეთი დახმარება ჯერჯერობით არა სჩანს. დავუჯეროთ რომ ქართველ სოციალ-დემოკრატების საუკეთესო ბელადებს ბ. ბ. კარლო ჩხეიძეს, აკაკი ჩხენკელს, ნოე ჟორდანიას, ევგენი გეგეჭკორს და კაკი წერეთელს ეროვნული გრძნობა სულ დაკარგული ექნებათ და იმ დროს როდესაც ამ გრძნობას საფრთხე მოელის და განსაცდელშია, სრულიად ჩვენსკენ პირს არ იბრუნებენ და არ დაგვეხმარებიან? არა, ჩვენ ეს არ გვჯერა ამისათვის სულითა და გულით მოუწოდებთ ჩვენში არსებული უძლიერესი პარტიის ამ საუკეთესო ბელადებს ქართველი ერის თვით გამორკვევას ხელი შეუწყონ და დაეხმარონ იმ ზომით და იმ სახით, მაინც როგორც ამას შვრებიან ფინლიანდიისა-ლიტვა-პოლონელებისა, უკრაინელებისა და აბლო ჩვენი მეზობლების სომხებისადმი. ასეთი დახმარება და ეროვნულ-დემოკრატებთან შეთანხმება მათ პოპულარობას კიდევ უფრო გაამტკიცებს და გააძლიერებს ხალხის თვალში და ეროვნულ საქმესაც დიდ სარგებლობას მოუტანს. თავისუფალ რუსეთში თავისუფალი საქართველო ნუ თუ ვისმე რაიმეზიანს მოუტანს?

მ. ბუაჩიძე.

მსოფლიო ომი.

გემის დაღუპვა.

ჰააგა. 23 მარტი. ოფიც. ხორბალით დატვირთული ბელგიის წყალ ქვეშმა ჩასძირა, მგზავრთაგან ნაწილი გადაარჩინეს, 8 კაცი მძიმეთ დაიჭრა.

ამერიკის სამხედრო ძალა.

სამხედრო კომიტეტმა პრეზ. ვილსონს ნება დართო საერთო სავალდებულო ბეგრის შემოღების კანონის გამოცემისა და ჯარის ორ მილიონამდე გადიდებისა.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 26 მარტი. სომმაზე და შამპანში მთელი დროს განმავლობაში ცხარე საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. რეიმსს გერმანელებმა 1200 ყუმბარა ესროლეს.

პარიზი. ბელგიაში მომქმედ—ფრანგთა ჯარი მხრიდან შეიჭრა მტრის სიმაგრეებში და ლომბარდის ზოგიერთი ადგილები დაიკავა.

რუსეთი.

ფრანგი სტუმრები.

ამ მოკლე ხანში ახალი რევოლიუციონური დროებითი მთავრობა მოელის ფრანგ სტუმრებს. რუსეთს ესტუმრებიან საფრანგეთის სოციალისტები: კოშენი, ლაფონი და მუტე. სტუმრების მიზანია რუსეთის სოციალისტებთან ახლო კავშირის გაბმა და ომის წარმოების საკითხზე მოლაპარაკება. რუსეთის პრესა დიდი სიხარულით აპირებს ფრანგ სოციალისტების დახვედრას.

უწმ. სინოდში.

სამოსამართლო პალატის და ქალაქის უფროსის დადგენილებით შეიპყრეს სასინოდო კანტორის სტამბის გამგე ყოფილი საგანგებო მინდობილობათა უფროსი მოხელე ვ. ტარავნცევი. ტარავნცევს ფულის გაფლანგვა და ყალბ საბუთების შედგენა და ბეჭდვა ბრალდება.

უცხოეთი.

საფრანგეთი. დეპუტატთა პალატაში დიდის სიხარულით შეხვდენ ამერიკის გამოსვლას.

დეპ. მეშენმა განაცხადა რომ, გერმანიის საწინააღმდეგო კოალიცია დღეს გადამწყვეტ პასუხს გასცემს ვილჰელმის ტირანიას. მეშენი დარწმუნებულია, რომ პრუსიის მილიტარიზმი ამერიკის გამოსვლით უსათუოდ დაემხობა დაქცეული პატარა ერები სისწრაფით იქნება აღდგენილი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის მახლობელ ნომერში ადგილი მისცეთ ამ მცირე წერილს და მით შეძლება მომცეთ დიდი მადლობა გამოუცხადო, როგორც ჩემის მხრით, აგრეთვე აკაკის სახელობის წყალტუბოს წიგნთ საცავ სამკითხველოს გამგე კომიტეტის მხრითაც, ქალბატონს ანნა არქიპოს ასულს იოსელიანისას, რომელმაც კეთილ ინება და ხსენებულ სამკითხველოს შესწირა განსვენებული თვისი მეუღლის რომანოზ იესეს ძის იოსელიანის წიგნებიდან 70 ცალი სხვა და სხვა სახელწოდების ქართული [illegible]ბი, ღირებული 35 [illegible]

წყალტუბოს წიგნთ საცავ სამკითხველოს გამგე კომიტეტის თავმჯდომარე

მღვ. ი. ფანცხავა.

რედაქტორი **ნ. ლორთქიფანიძე.**
გამომცემელი ამხ. **სამშობლო**

რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	დილის	8 ს.		წ.
„	საღამ.	8 ს.	50	„
ბათომიდან	დილით	12 ს.	40	„
„	ღამის	1 ს.		„
ფოთიდან	დილის	10 ს.	26	„
ტყიბულიდან	საღამოს	6 ს.	50	„
მარელისიდან	დილის	9 ს.	24	„

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	დილის	11 ს.	—	„
„	ღამის	11 ს.	34	„
ბათომისაკენ	საღამოს	7 ს.	5	„
„	დილის	7 ს.		„
ფოთისაკენ	დილით	4 ს.		„
ტყიბულისაკენ	დილის	8 ს.	40	„
მარელისისაკენ	დილით	5 ს.	20	„

ექიმები:

ბ. ი. გოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდროვს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

ა. მ. ახათიანი ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 8 ტელეფონი № 101.

გამოცდილი სტუდენტი ამზადებს მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს **ჯგუფი** სააფიცრო მოწაფეებისა I და II ხარისხის. იყვანს პირობით. მისამართი: კაზაკოვის და გენერლის ქუჩის შესახვევი სახლი გიორგი სტეფანოვის№15 მიიღება 9—12 ს. და 3—6 საათამდე. მასწავლებელი ა. ზ. თელია. 5 თ.

ა. დ. მაჭავარიანი (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გუბერნსკის სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე.
დადიანის ქ. სახლი ხარანიძის (წულეისკირისული

ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12\frac{1}{2}$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი
მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, ამასთან ვკურნავ ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახლ გამოგონილ წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფები მიიღებიან დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი ვ. კოსტავას სახლი № 17. 8 თ.

განცხადება.
ძმათა ჟორჟოლაძეების მაღაზიაში მიღებულია საუკეთესო ხარისხის
საპონის „სოდა“,
აგრეთვე ყოველივე ბაკალიური საქონლები.
ფასები ყველაფერზედ ზომიერია. 10 თვ.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
ტ. ფ. ფილოიანისა.
ორივე სქესისათვის (თბილისში, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976).
თხოვნის მიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყო თუთხმეტ იანვარს.
პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში. 11 თვ.

ავათმყოფნი სუსუნატით.

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამ ჟამათ გამოგონილია პროფ. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ **მორნისა.** ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და სააქიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტრიპერისა, ჭაჭების და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი. **ბლენიოზოლი** ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით, ვალდებული არიან იხმარონ **ბლენიოზოლი,** როგორც ერთად ერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილი სნეულება მეორეთ აღარ განახლდება, კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში. ბლენიოზოლი იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „სააქიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში,** გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ. ფასი ერთი კოლოფისა 3 მ. და 50 კ. სრული განთავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი. **პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სიამე. სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე, წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.
თქვენი ერთგულები **ი. ნ. კოლეგოვი.**
ტრესკისირ-დარისქ. პე ოლქი. 9 (წლიური)

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქ., სახლი გოკიელოვის ა